აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №16

05 სექტემბერი 2016 წელი **ქ. ბათუმი**
11^{00} საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: გუგული დუაძე, სოფიო კახაძე, ზურაბ გოლიაძე, რამაზ გოლომანიძე, თორნიკე მჟავანაძე, მაკა ლომაძე, შორენა ჭაღალიძე, მამუკა ჯაში, ნუგზარ ბაჯელიძე, ირაკლი გვარამია, მამუკა კოპალეიშვილი და კახაბერ ჯაიანი.

აგრეთვე ესწრებოდნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლები, საარჩევნო სუბიექტის და მასმედიის წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების წესის განსაზღვრის შესახებ;

2. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის, დაფინანსების წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ;

4. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების წესის განსაზღვრის შესახებ;

2. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის, დაფინანსების წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ.

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების წესის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების წესის განსაზღვრის შესახებ“ დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ 2016 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის და უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნების ერთდროულად გამართვის დროს „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონით არ არის განსაზღვრული როგორ მიენიჭოს საარჩევნო სუბიექტებს რიგითი

ნომრები, შესაბამისად აუცილებელია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონით განუსაზღვრელი ზოგიერთი საარჩევნო პროცედურისა და ვადის განსაზღვრა, ამომრჩევლის მიერ ნების გამოვლენის, საარჩევნო სუბიექტებისთვის წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების, კენჭისყრის და არჩევნების შედეგების შეჯამების ხელშეწყობის მიზნით, აუცილებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის დადგენილებით განისაზღვროს რიგითი ნომრის მინიჭების წესი. საარჩევნო სუბიექტს, რომელიც მონაწილეობს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის მიენიჭა რიგითი ნომერი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის შემთხვევაში მიენიჭება იგივე რიგითი ნომერი, ხოლო იმ საარჩევნო სუბიექტებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში, რიგითი ნომრის მინიჭების მიზნით უმაღლეს საარჩევნო კომისიაში გაიმართება წილისყრა საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ასევე აღნიშნა, რომ ცესკოს განკარგულებით საარჩევნო სუბიექტებზე უკვე მინიჭებული აქვს რიგითი ნომრები და N30-დან N41-მდე თავისუფალი ნომრებია.

აზრი გამოთქვეს: მაკა ლომაძემ და პარმენ ჯალაღონიამ.

მაკა ლომაძემ აღნიშნა, რომ უსკო თავისი კომპენტენციის ფარგლებში ღებულობს გადაწყვეტილებას ნომრის მინიჭების თაობაზე, თუმცა მიაჩნია, რომ ცესკომ თავის დროზე რიგითი ნომრის მინიჭების დროს დაარღვია საარჩევნო სუბიექტების მიმართ თანაბრობის პრინციპი და ორ საარჩევნო სუბიექტს წილისყრის გარეშე მიანიჭა რიგითი ნომრები, რის გამოც დააფიქსირა თავისი პოზიცია და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის დამტკიცების კენჭისყრაში არ მიიღებდა მონაწილეობას.

პარმენ ჯალაღონიამ აღნიშნა, რომ უსკომ მოცემული სიტუაციიდან გამომდინარე წილისყრა უნდა გამართოს მხოლოდ ორ საარჩევნო სუბიექტს შორის. აღნიშნული პროცედურა გაიმართება შემდგომ სხდომაზე სადაც

წილისყრით საარჩევნო სუბიექტებს მიენიჭება შესაბამისი ნომრები.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების წესის განსაზღვრის შესახებ“ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 12;
წინააღმდეგი 1;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

დადგენილება მიღებულია:

როგორც ცნობილია 2016 წლის 8 ოქტომბერს ერთდროულად გაიმართება საქართველოს პარლამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნები. საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით არ არის განსაზღვრული საქართველოს პარლამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ერთდროულად გამართვის შემთხვევაში, როგორ მიენიჭოს საარჩევნო სუბიექტებს რიგითი ნომრები. შესაბამისად, აუცილებელია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით განუსაზღვრელი ზოგიერთი საარჩევნო პროცედურისა და ვადის განსაზღვრა.

საარჩევნო სუბიექტებისათვის წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებისას, არჩევისთვის ხელის შეწყობის და ამომრჩეველთა მხარდაჭერის მოპოვების მიზნით იყენებენ მათთვის საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი წესით განსაზღვრულ რიგით ნომერს, კერძოდ, რიგით ნომერს იყენებენ მათ მიერ დამზადებულ სააგიტაციო მასალაზე, პოლიტიკურ/წინასაარჩევნო რეკლამაში, რაც მნიშვნელოვანია, საარჩევნო სუბიექტების რიგითი

ნომრები აღინიშნება საარჩევნო ბიულეტენის წინა გვერდზე.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი განსაზღვრულია შემდეგნაირად - ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას შემოხაზავს მისთვის სასურველი საარჩევნო სუბიექტის ნომერს.

ამრიგად, ამომრჩევლის მიერ ნების გამოვლენის, საარჩევნო სუბიექტებისთვის წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების, კენჭისყრის და არჩევნების შედეგების შეჯამების ხელშეწყობის მიზნით, აუცილებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის დადგენილებით განისაზღვროს რიგითი ნომრის მინიჭების წესი.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“119-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 45-ე მუხლის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1.

საარჩევნო სუბიექტს, რომელიც მონაწილეობს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის მიენიჭა რიგითი ნომერი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის შემთხვევაში მიენიჭება იგივე რიგითი ნომერი.

მუხლი 2.

იმ საარჩევნო სუბიექტებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში, რიგითი ნომრების მინიჭების მიზნით უმაღლესი საარჩევნო კომისიაში იმართება წილისყრა საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ

რეგისტრირებული საარჩევნო ბლოკი, რომლის შემადგენლობა განსხვავდება საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო ბლოკის შემადგენლობისაგან, მონაწილეობს წილისყრაში ამ დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 4.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტებს რიგით ნომერს წილისყრით ანიჭებს უმაღლესი საარჩევნო კომისია. წილისყრისას ნომრების რაოდენობა შეესაბამება წილისყრაში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების რაოდენობას. წილისყრაში არ მიიღებენ მონაწილეობას ის რიგითი ნომრები, რომლებიც მინიჭებულია საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის.

მუხლი 5.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი კანდიდატებისათვის რიგითი ნომრის მინიჭება ხდება, 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე პარტიებისათვის/საარჩევნო ბლოკებისათვის, საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებისათვის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისათვის რიგითი ნომრების მინიჭების პროცედურების დასრულების შემდეგ კენჭისყრამდე არაუგვიანეს 30-ე დღისა.

მუხლი 6.

საოლქო საარჩევნო კომისიაში რიგითი ნომრის მისანიჭებლად გასამართ წილისყრაში მონაწილე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრირებული ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი კანდიდატების რიგითი ნომრები იწყება 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე პარტიებისათვის/საარჩევნო ბლოკებისათვის, შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საინიციატივო ჯგუფის

მიერ წარდგენილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებისათვის და აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე პარტიებისათვის/საარჩევნო ბლოკებისათვის მინიჭებული უმაღლესი რიგითი ნომრის მომდევნო ზრდადი რიცხვიდან. წილისყრაში მონაწილეობს იმდენი რიგითი ნომერი, რამდენი საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატიც მონაწილეობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში.

მუხლი 7.

საარჩევნო სუბიექტები, რომელიც საქართველოს პარლამენტის არჩევნებში გაერთიანებულნი არიან საარჩევნო ბლოკში და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობენ დამოუკიდებლად ამ დადგენილების პირველი მუხლით განსაზღვრული უფლებით სარგებლობს ასეთ საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პირველად დასახელებული პარტია.

მუხლი 8.

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 9.

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტით დასამტკიცებელ თანდართულ ფორმებში არის ტექნიკური ხარვეზი, რომლის გასწორების მიზნით კომისიას შესთავაზა სხდომაზე შესვენების გამოცხადება.

კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება სხდომაზე შესვენების გამოცხადების შესახებ. კომისიის სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 11:50 სთ-დან - 10 წუთით.

კომისიის სხდომა განახლდა 12:00 საათზე.

სხდომაზე წარმოდგენილი იქნა შესწორებული განკარგულების თანდართული ფორმები.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის სხდომაზე გამოთქმული (შესწორების) შენიშვნის გათვალისწინებით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის დროებითი მოწმობა (ფორმა №6-07.01.13);

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლის მოწმობა (ფორმა №6-07.01.14);

გ) საარჩევნო ბიულეტენის დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებლის მოწმობა (ფორმა №6-07.01.15);

დ) ადგილობრივი დამკვირვებლის მოწმობა საოლქო საარჩევნო კომისიაში (ფორმა №6-07.01.16);

ე) ადგილობრივი დამკვირვებლის მოწმობა საუბნო საარჩევნო კომისიაში (ფორმა №6-07.01.17).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.
(თან ერთვის)

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის, დაფინანსების წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის, დაფინანსების წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: მამუკა კოპალეიშვილმა, თორნიკე მჟავანაძემ, გუგული დუაძემ, ზურაბ გოლიაძემ, მაკა ლომაძემ, კახაბერ ჯაიანმა და პარმენ ჯალაღონიამ.

მამუკა კოპალეიშვილი დაინტერესდა, რამდენად სავალდებულოა უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებისათვის საარჩევნო სერთიფიკატის მოთხოვნა, მას მიაჩნია, რომ უსკოს წარმომადგენელმა უნდა შეასრულოს მხოლოდ ტექნიკური ფუნქციები რისთვისაც მათ დამატებით სერთიფიკატის ქონა არ უნდა მოეთხოვებოდეს.

თორნიკე მჟავანაძემ აღნიშნა, რომ არიან ადამიანები რომლებსაც არ გააჩნიათ საარჩევნო ადმინისტრაციის სერთიფიკატი თუმცა მათ გააჩნიათ დიდი ხნის საარჩევნო გამოცდილება, შესაბამისად მიაჩნია, რომ კანდიდატებისათვის მოთხოვნათა კრიტერიუმებიდან უნდა იქნას ამოღებული საარჩევნო ადმინისტრაციის სერთიფიკატის მოთხოვნა.

გუგული დუაძემ და ზურაბ გოლიაძემ აღნიშნეს, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერთიფიკატის მოთხოვნა უსკოს წარმომადგენლების შესარჩევად სავალდებულოა, ვინაიდან მათ მინიმალური საარჩევნო უნარჩვევები უნდა გააჩნდეთ, რადგანაც მათ მოუწევთ როგორც ტექნიკური ასევე საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად სხვადასხვა დავალებების შესრულება საარჩევნო ოლქებში.

მაკა ლომაძემ და კახა ჯაიანმა ითხოვეს უსკოს წარმომადგენლების შესარჩევად დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებში დამატებულიყო კანდიდატის პარტიულობა. მათ მიაჩნიათ, რომ უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები არ უნდა იყვნენ პარტიულები.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის, დაფინანსების წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ“ სხდომაზე გამოთქმული (შესწორების) შენიშვნის გათვალისწინებით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე	12;
წინააღმდეგი	1;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,შ²“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის საოლქო საარჩევნო კომისიებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის წესი და ვადები:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლობის მსურველმა უმაღლეს საარჩევნო კომისიაში უნდა წარადგინოს განცხადება, რომელშიც უნდა მიეთითოს: კანდიდატის სახელი, გვარი, საკონტაქტო მისამართი, იმ საარჩევნო ოლქის ნომერი და დასახელება სადაც სურს წარმომადგენლობა და ტელეფონის ნომერი (თუ აქვს). განცხადებას ხელს უნდა აწერდეს კანდიდატი და მას უნდა დაერთოს:

ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის (რეგისტრაციის) მოწმობის ქსეროასლი; ბ) უმაღლესი განათლების (სამეცნიერო ხარისხის – თუ აქვს) დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
გ) კანდიდატის შრომითი ბიოგრაფია და არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილების აღწერა (თუ აქვს ასეთი გამოცდილება);
დ) ორი ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3X4.
ე) საარჩევნო მოხელის სერტიფიკატის ასლი.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლობის მსურველებმა უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საკადრო სამსახურს განცხადებით უნდა მიმართონ არაუგვიანეს 2016 წლის 6 სექტემბრიდან 8 სექტემბრის ჩათვლით 10:00 საათიდან 18:00 საათამდე. (მის: ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ N2, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა).

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო

კომისიის წარმომადგენელთა შესარჩევად შესაბამისი განცხადების გამოქვეყნებას.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლის კანდიდატურების საბუთების შესწავლა და შერჩეულ პირთა წარდგენა უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის განხორციელდეს განცხადების შეტანის ვადის ამოწურვიდან არა უგვიანეს ორი დღისა.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი არ შეიძლება იმავდროულად იყოს: პარტიის წევრი, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი, წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატი, სადამკვირვებლო ორგანიზაციის დამკვირვებელი.

6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევა ხდება უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით, სახელობითი კენჭისყრით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.

7. თითოეულ კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე, არჩეულად ჩაითვლება ის პირი ვინც მეტ ხმას მიიღებს, ხმათა თანაბრობის შემთხვევაში ამ კანდიდატებს ხელახლა ეყრებათ კენჭი.

8. თუ პირველსავე სხდომაზე ვერ აირჩა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი, წარდგენილ კანდიდატებს ხელახლა ეყრება კენჭი. თუ ვაკანსია კვლავ არ შეივსო, იმართება კიდევ ერთი კენჭისყრა. თუ ვაკანსია კვლავ შეუვსებელი დარჩა წარმომადგენელთა შესარჩევი პროცედურა თავიდან იწყება.

9. N79 ბათუმის და N84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიებში აირჩევა არაუმეტეს 2 წარმომადგენლისა. N81 ქობულეთისა და N83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიაში უმაღლესი საარჩევნო კომისია ირჩევს თითო წარმომადგენელს. დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლობას ახორციელებს ძირითად საოლქო საარჩევნო კომისიაში არჩეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი.

მუხლი 2. უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების უფლებამოსილებები და დაფინანსების წესი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის:

1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებს:

ა) ევალებათ იმოქმედონ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი"„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სამართლებრივი აქტებისა და ინსტრუქციების შესაბამისად;

ბ) უფლება აქვთ ნებისმიერ დროს შევიდნენ შესაბამის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისა და კენჭისყრის შენობებში და სათანადო ინფორმაცია მიაწოდონ უმაღლეს საარჩევნო კომისიას;

გ) არ აქვთ უფლება ჩაერიონ საარჩევნო კომისიის მუშაობაში;

დ) ევალებათ საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების დავალებით ან/და უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების შესაბამისი მითითებების საფუძველზე შეისწავლონ საარჩევნო კომისიებში შესული განცხადებები/საჩივრები და მოკვლეული მასალები და ინფორმაცია მიაწოდონ დამვალებელ პირს, საჭიროებისამებრ კომისიის სხდომაზე განსახილველად;

ე) ევალებათ უმაღლესი საარჩევნო კომისიის ან/და საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების მითითებების საფუძველზე, მოახდინონ საარჩევნო კანონმდებლობის შესაძლო დარღვევებზე პრესითა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებულ ფაქტებთან დაკავშირებით, შესაბამისი ინფორმაციისა და მასალების შეგროვება და მათი დამვალებელი პირებისადმი წარდგენა;

ვ) ევალებათ შეასრულონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირთა კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული სხვა დავალებები.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების საქმიანობა დაფინანსდება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან, ერთჯერადად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.

მუხლი 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.
სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **სოფიო კახაძე**